კავკასიის უნივერსიტეტის და TH WILDAU-ის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის პროგრამა არის TH Wildau-ს და კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის პირველი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც გასცემს ორივე უნივერსიტეტის ერთობლივ ხარისხს.

პროგრამას აფინანსებს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD).

სამაგისტრო პროგრამა რეგიონში პირველია ციფრული ლოგისტიკის მიმართულებით.

პროგრამა სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას მიიღოს ლოგისტიკის მართვის და ტექნოლოგიების უმაღლესი დონის განათლება და შეიქმნას საერთაშორისო ლოგისტის კარიერა.

პროგრამის ლექციების 80%-ს ატარებენ TH Wildau-ის მოწინავე პროფესორები, რომლებსაც აქვთ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება ლოგისტიკის, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სფეროებში. პროგრამის კომპონენტების 20%-ს უძღვებიან კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე პროფესორები და საერთაშორისო კომპანიებიდან მოწვეული ლექტორები საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილებით.

პროგრამის ხანგრძლივობა

- 2 აკადემიური წელი

კვალიფიკაცია

- საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი - 120 ECTS

ჩარიცხვის მოთხოვნები

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- ტესტირება ინგლისურ ენაში და გასაუბრება

საჭირო დოკუმენტაცია

- სარეგისტრაციო ფორმა
- ორი სარეკომენდაციო წერილი
- CV/რეზიუმე
- 2 ფოტო
- პასპორტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი
- ნიშნების ამონაწერის ნოტარიულად დამოწმებული ასლი
- დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი

პროგრამის ენა

- ინგლისური

მნიშვნელოვანი თარიღები

- საერთო სამაგისტრო გამოცდაზე რეგისტრაცია - მარტი, 2024
- საერთო სამაგისტრო გამოცდა - ივლისი, 2024
- საბუთების მიღება - აპრილი-სექტემბერი, 2024
- ტესტირება ინგლისურ ენაში - სექტემბერი, 2024
- შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება - აპრილი-სექტემბერი, 2024

სწავლის საფასური

- საქართველოს მოქალაქეებისთვის - 10, 000€
- არარეზიდენტებისთვის - 14, 000€

დაფინანსება

- CU-DLM გრანტი, რომელიც დააფინანსებს სრული პროგრამის სწავლის საფასურს 2 000 ევროს ოდენობით
- სახელმწიფო გრანტი, რომელიც დააფინანსებს სრული პროგრამის საფასურს 780 ევროს ოდენობით
- DAAD-ის გრანტი, რომელიც გაიცემა სწავლების მეორე წელს. სრული გრანტი 11 800 ევროს შეადგენს

საკონტაქტო ინფორმაცია

თათია მაისურაძე
საგანმანათლებლო ერთობლივი პროგრამების
ადმინისტრაციული დირექტორი
ტელ.: (+995 32) 237 77 77 (285)
მობ.: 577 399 857
ელ.ფოსტა: tmaisuradze@cu.edu.ge

პროგრამის შინაარსი: ციფრული ლოგისტიკა

- გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემები
- ლოგისტიკის ფინანსური მენეჯმენტი
- ინტერმოდალური ტრანსპორტი და ტერმინალის მენეჯმენტი
- მოწინავე ენერგეტიკული ტექნოლოგიები ლოგისტიკაში
- გლობალური ლოგისტიკა IT სისტემების გამოყენებით
- ტრანსპორტის დაგეგმვის სისტემები
- საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო გადაზიდვები
- ლოგისტიკური ქსელის ოპერაციები
- ბიზნეს ანალიტიკა და ციფრული ტრანსფორმაციის ლოგისტიკა
- ხარისხის და გარემოს მენეჯმენტი
- ციფრული საწყობის მენეჯმენტი
- ციფრული რისკისა და ცვლილების მენეჯმენტი

IT & მენეჯმენტი

- ლიდერობა
- სტრატეგიული მენეჯმენტი
- საწარმოთა რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები
- სატრანსპორტო ნაკადების შეფასება და გარემოზე ზემოქმედება
- გადაწყვეტილების მიღება
- პროექტის მენეჯმენტი

კვლევა

- აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები
- სამაგისტრო ნაშრომი

პროგრამის ძლიერი მხარეები:

- უნიკალური საერთაშორისო პროგრამა, შემუშავებული გერმანელი სპეციალისტების მიერ, მორგებული ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე
- ერთობლივი სამაგისტრო, საერთაშორისო დიპლომი, რომელიც იძლევა მაღალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმების საშუალებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე
- მულტიდისციპლინური სასწავლო გეგმა თეორიული და პრაქტიკული ელემენტებით, რომელიც მოიცავს ლოგისტიკის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საგნებს.
- პროგრამის შინაარსი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააანალიზონ და გადაჭრან ლოგისტიკური პრობლემები კომპანიებში ინტეგრირებული და სისტემატური მიდგომებით
- ქეისების განხილვა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება მოწვეული გამოცდილი გერმანელი პროფესორებისა და წამყვანი საერთაშორისო კომპანიების ტოპ მენეჯერების მიერ
- მოწინავე ლოგისტიკის ლაბორატორია და პრაქტიკული სწავლება უნიკალური პროგრამული უზრუნველყოფით (PTV Visum / Vissim / Vistro, SAP ERP, AnyLogic)
- სალექციო კურსების მე-3 სემესტრი გერმანიაში. მე-4 სემესტრში გერმანიაში სტაჟირების შესაძლებლობა.
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა გერმანელი პროფესორის ხელმძღვანელობით
- გერმანიაში წარმატებული სტუდენტების მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯების დაფინანსება მე-3 სემესტრში DAAD სტიპენდიით. ყოველწლიურად საშუალოდ 2-4 სტუდენტი დაფინანსდება

TH Wildau-ს რეიტინგი:

- TH Wildau გერმანულ უნივერსიტეტებს შორის ლოგისტიკის მიმართულებით ტოპ 12-შია
- ყველაზე კეთილგანწყობილი უნივერსიტეტი, INSM-ს კვლევა 2017 წელი
- „წლის ბიბლიოთეკა“ 2012 წ
- დაფინანსების ინიციატივა „ინოვაციური უნივერსიტეტი“ 2017 წ
- 2018 წლის StudyCheck უნივერსიტეტების რეიტინგში მე-3 ადგილი
- კორპორატიული ჯანმრთელობის ჯილდო 2019 - სპეციალური პრიზი ჯანსაღი
- უნივერსიტეტისთვის

კავკასიის უნივერსიტეტი CAUCASUS UNIVERSITY

Technische Hochschule Wildau Technical University of Applied Sciences WILDAU

CST DAAD GIA LOGISTIKNETZ